პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 ივნისი სამშაბათი 1973 წელი 2 ფასი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 130 (15647)

17 ივნისს აღგილობრივი საბჭოების არჩევნებია

პარტიის ისტორია ალზრდის მძლავრი საშუალებაა

ჩვენი ქვეყნის კომუნისტები, ყველა მშრომელნი უდიდეს ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისადმი. ეს სახელოვანი ისტორია, რომელიც აღსავსეა მკაფიო მოვლენებითა და ფაქტებით, მდიდარია რევოლუციური ბრძოლის, ორგანიზატორული, პოლიტიკური და თეორიული მოღვაწეობის უძვირფასესი გამოცდილებით, წარმოადგენს იდეური აღზრდის, მარქსისტულ-ლენინური წრთობის მძლავრ საშუალებას.

როცა თავიანთი მებრძოლი კომუნისტური ავანგარდის გმირული გზის მატიანეს ეწაფებიან, საბჭოთა ადამიანები ამით უფრო ღრმად იგებენ მის დიად როლს ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალში. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს კომუნიზმის მილიონობით მშენებლის პატრიოტულ სულისკვეთებას, ხელს უწყობს სკკპ XXIV ყრილობაზე დასახული იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას. საქმე ეხება იმას, რომ ყველა საბჭოთა ადამიანს ჩავუნერგოთ სამშობლოსათვის, ხალხისათვის, მისი დიადი მიღწევებისათვის სიამაყის გრძნობა, ისტორიული წარსულის ღირსეული ფურცლებისადმი პატივისცემის გრძნობა. ამ ფურცლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი უკავშირდება ლენინური პარტიის გიგანტურ რევოლუციურ-გარდამქმნელ და შემოქმედებითს საქმიანობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა იმის გამო, რომ წელს სამოცდაათი წლისთავი უსრულდება რსდმპ II ყრილობას, რომელზეც შეიქმნა ბოლშევიკთა პარტია. ღირსშესანიშნავი თარიღის ზღურბლზე ბოლშევიზმის ისტორიული გამოცდილების შესწავლასა და პროპაგანდას მასობრივი ხასიათი ეძლევა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთ-ც მეგობართა შორისაც. ამ უმდიდრესი გამოცდილების საფუძვლიანი ათვისება მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განთლებისა და აღზრდის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ვ. ი. ლენინი დაუცხრომლად მოგვიწოდებდა „უფრო მზრუნველობით და უფრო პოპულარულად განვმარტავდეთ პარტიის ისტორიასა და პრაქტიკას“. ლენინის მითითებანი უდევს საფუძვლად პარტიულ და კომკავშირულ სწავლებას, მახვილი პოლიტიკური განათლების მთელ სისტემას. ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ამითვისთვის, რომ პოპულარიზაცია გაეწიოს და საბჭოთა ადამიანებმა ღრმად შეისწავლონ სკკპ ისტორია, მისი გამოჩენილი მებრძოლების ცხოვრება და მოღვაწეობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული ლიტერატურის მასობრივად გამოშვებას, მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გამოიცა სამი ათას ხუთასამდე წიგნი და ბროშურა სკკპ ისტორიის დარგში. გამოვიდა სკკპ მრავალტომიანი ისტორიის შვიდი წიგნი, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების ისტორიის სამიცზე მეტი ნარკვევი. უკვე გამოვიდა მერვე, ათტომიანი გამოცემა დოკუმენტების კრებულისა „სკკპ ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის კონფერენციებისა და პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“. ისტორიულ-პარტიულ გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკკპ ცხოვრებისა და განვითარების თანამედროვე ეტაპს, კომუნიზმის მშენებლობაში მისი წამყვანი როლის გაშუქებას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ისტორიულ-პარტიული პროპაგანდის მასშტაბის გაფართოებასა და მისი დონის ამაღლებას.

რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავი უეჭველია ასეთი პროპაგანდის ყოველნაირად განვითარების ახალი სტიმული იქნება, დიდი და მრავალფეროვანი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა უნდა შესრულდეს, და ამისთვის საჭიროა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის სერიოზული ღონისძიებანი.

პარტიის ისტორიის შესწავლა საბჭოთა ახალგაზრდობის სწორი სულიერი ფორმირებისა და იდეური ზრდის ერთ-ერთი მთავარი გზაა. სწორედ ამიტომ ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლენინურ გაკვეთილს „სკკპ გმირული გზა“, რომელითაც მთავრდება მომდინარე სასწავლო წელი კომკავშირული პოლიტსწავლების სისტემაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ გაკვეთილის და სკკპ ისტორიის შესწავლისათვის მთელი მეცადინეობის ჩატარებას მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე, ლექციებისათვის, კონსულტაციებისა და ახალგაზრდობასთან საუბრებისათვის უნდა მოიზიდოს საუკეთესო პროპაგანდისტები, პარტიის ვეტერანები, პარტიულ ყრილობათა მონაწილენი.

ჩვენი პროპაგანდისტული კადრების, ისტორიკოსების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების, ყველა იდეოლოგიური მუშაკის საპატიო და პასუხსაგები ამოცანაა სრულად გამოავლინონ ჩვენი პარტიის მიერ განვლილი მრავალწლიანი გზის სიღიადე, კომუნისტთა თაობების — ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის უშიშარი მებრძოლების საგმირო საქმენი, დამაჯერებლად გვიჩვენონ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე პარტიის პოლიტიკის სასიცოცხლო ძალა და ქმედითობა. ამ ამოცანის წარმატებული გადაწყვეტა მოითხოვს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ფართოდ გამოყენებას. ისტორიულ-პარტიული თემა ღირსეულად უნდა აისახოს პრესის ფურცლებზე, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში. ცნობილია, რომ ამ თემას მიეძღვნა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოები. რევოლუციური პრძოლის პათოსით გამსჭვალული ეს ნაწარმოებები ემსახურებიან და კიდევ უფრო აქტიურად უნდა ემსახურებოდნენ მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს.

სკკპ ისტორიის შესწავლასა და პროპაგანდაში მთავარია ორგანული კავშირი ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან. პარტიისა და ხალხის დღევანდელ კონკრეტულ ამოცანებთან. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ოქტომბრის 50 წლისთავთან, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან, საბჭოთა კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილესთან დაკავშირებული პარტიული დოკუმენტები, წარმართოთ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სსრ კავშირის 50 წლისთავის შესახებ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული ამოცანების შესაბამისად მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებისათვის.

როცა ჩავწვდებით ისტორიულ გამოცდილებას, უფრო ნათლად დავინახავთ თანამედროვე პრობლემების მასშტაბებსა და სირთულეს. გმირული წარსული გვეხმარება უფრო მკაფიოდ გამოვაკლინოთ ურყევი მემკვიდრეობითობა ლენინური პოლიტიკური კურსისა, რომელმაც დღეს შემოქმედებითი განსახიერება ჰპოვა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში. ეს უტყუარი სტრატეგიული კურსი უზრუნველყოფს ჩვენს წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მეცხრე ხუთწლიდის დავალებათა განხორციელებაში, მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია — საბჭოთა ხალხის კოლექტიური ბელადი და მასწავლებელი — ძალიერია თავისი დიადი მარქსისტულ-ლენინური იდეებით, რევოლუციური გამოცდილებითა და ტრადიციებით, ხალხთან ურღვევი კავშირით, რომლის სამსახური მთელი მისი მრავალმხრივი მუშაობის უმაღლესი მიზანი და დანიშნულებაა. პარტიის ისტორია შემოქმედებითი შთაგონების წყაროა ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი პოულობენ პოლიტიკურ სიბრძნის, ნებისყოფისა და ვაჟკაცობის უბადლო ნიმუშებს. იგი გვასწავლის ვიბრძოდეთ და ვიმარჯვებდეთ კომუნიზმის ნათელი იდეალებისათვის.

ПРАВДА

4 ივნისის მოწინავე.

ხუთწლედი — ვადამდე!



ქერს მკიან

ჩვენი კოლმეურნეობის მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა პურეულის მოსავლის ასაღებად მზადება თავის დროზე დაიწყეს. მზადყოფნაშია კომბაინები, სველი ყალოები, მარცვლეულის გასასუფთავებელი მანქანები, წესრიგში მოგვიყვანეთ ავტომანქანები, მარცვლის საწყობები.

კოლმეურნეობას 2.700 ჰექტარზე უთესია თავთავიანი მარცვლეული კულტურები. ნეხ-თესვის აგროწესების დაცვით ჩატარებამ, შემდეგ ნათესების წესიერმა მოვლა-პატრონობამ, სასუქებით განოყიერებამ ადრე ნაყოფი გამოიღო. ჩვენი პურისა და ქერის ყანები, რომლებიც ალაზნისპირას, შირაქისა და ივრისპირა მინდრებშია, ავთვალს არ ენახვება. ქერი შემოვიღეთ თუ არა, მკა შერხვით დაიწყეთ. პირველივე ჰექტარზე 35 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ. ეს, ვფიქრობთ, კარგი დასაწყისია.

კოლმეურნეობის მემინდვრე-მექანიზატორებმა წელს ვალდებულება აიღეს ჰექტარზე ნაცვლად 17 ცენტნერისა მიიღონ 35 ცენტნერი პურეული. კოლმეურნეობა ნაცვლად 4.500 ტონისა აწარმოებს 9.000 ტონა პურეულს, სახელმწიფოს ნაცვლად 589 ტონისა მიჰყიდის 700 ტონა პურს.

ჩვენი ბრიგადა ჯარშან რაიონში პირველ ადგილზე გამოვიდა. წელსაც სოციალისტიბრძოლის ფარათოდ გაწლის გზით ეცდილობთ პირველობა არავის დავუთმოთ. ბრიგადაში 600 ჰექტარზე გვთესია თავთავიანები. გადაწყვიტეთ რვა სამუშაო დღეში ავიღოთ მოსავალი, ჰექტარზე მივიღოთ 50 ცენტნერი მარცვალი.

ჩვენი „ავროროსა“ და „კავკაზის“ ნათესებში ახლა ზღვასავით ლელავს. ქერის მკის რომ მოვრჩებით, მაშინვე დავიწყებთ ხვნასა და ნაწვერალზე ხიმინჯის თესვას, რომ კოლმეურნეობის პირუტყვს უხვად ჰქონდეს წვნიანი და მწვანე საკვები.

პურეულის მკა და მოსავლის დაბინაურება ჩვენი შრომის შეჯამებაა. არცერთ თავთავს, არცერთ კილოგრამ მარცვალს არ დავკარგავთ. ნამუსასაც მთლიანად დავწნეხავთ და ფერმისპირას დავზვინავთ.

პურეულის უხვი მოსავლის მისაღებად ფართოდ გავაჩაღეთ შეჯიბრება. ჩვენ გადავწყვიტეთ ვიყოთ შრომაში და ყოფაცხოვრებაში მოწინავენი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის მემინდვრე-მექანიზატორებს.

გ. გოზალიშვილი — სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ლენინის ორდენოსანი, ზ. **მეჯურგლიშვილი**, ა. **გეგიაშვილი**, მ. **მამუკელაშვილი**, ჩ. **ჯალიაშვილი**, შ. **ბაბაშვილი** — კომბაინერები.

სურათებზე: ქერის მკა ბოდბისხეველთა მინდვრებში; მარცხნივ — მოწინავე კომბაინერი ზურაბ მეჯურგლიშვილი.

ფ. დავითაშვილისა და ხ. ოთხუბაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მემინდვრე მექანიზატორთა შეჯიბრება
120.000 ტონა მარცვლეულისათვის

სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ჰექტარზე მიიღოს 50 ცენტნერი პურეული

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე — ლეკუტატობის კანდიდატი

კომუნისტი მაგული კვიქინაძე რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კორდის საბრეხ საამქროში მუშაობს. რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის კურსდამთავრებული მრთ-ერთ მოწინავე გადამხვევად ითვლება.

მაგული კვიქინაძემ ქიმიკოსთა შორის თავდადებული შრომით დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა. მათ მოწინავე მუშა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აირჩიეს.

სურათზე: რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კორდის საბრეხი საამქროს მოწინავე გადამხვევი, საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მაგული კვიქინაძე.

ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინიციატორთა პირველი ნაგიჯები

„დღევანდელი მოწინავის მოჯნა ხვალ ყველას მოჯნაა“, ახალი წამოწყებაა. ამ თაოსნობას ჩვენთან, ცხელი გაჩეხვის საამქროში ჩაეყარა საფუძველი. საამქროში ძირითადად მგრეხავები და გადამხვევები მუშაობენ. მათ შორის ბევრია ისეთები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაუსწრეს დროს. მაგალითად, მოწინავე მგრეხავის ტ. მულდაროვას საშუალო გამომუშავება ცილაში 400 კილოგრამ კორდის ძაფს შეადგენს. ეს მაშინ, როცა ნორმა 250 კილოგრამს ითვალისწინებს. ტ. მულდაროვა ამჟამად 1975 წლის თებერვლის ანგარიშში მუშაობს. ასევე ითქმის ვ. მუშკოდიანის, ც. თიგიშვილის, მ. ხინჩაგიშვილის, გ. ტიკილაშვილის, ვ. ნიკიფოროვას და სხვათა შიმართაც.

სულ საამქროში 20-ზე მეტი ნოვატორია, მათი მიმდევრების რიცხვი უკვე 80-ს აღწევს. ინიციატივა დღევანდელი მოწინავის მიჯნა ხვალ ყველას მიჯნაა დიდ გამოხმაურებას პოულობს ქარხნის სხვა საამქროებშიც.

ამ ახალი მეთოდის თავისებურება ის არის, რომ იგი ითვალისწინებს ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვას, მანქანა-დანადგარების სწორ ექსპლოატაციას, სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენებას, ნედლეულის ეკონომიურად ხარჯვას, გამომუშავებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და სამუშაო ადგილის სწორ ორგანიზაციას. ეს ჩამოთვლილი პირობები დღეს ნოვატორებისთვის ყოველმხრივ ხელმისაწვდომი გახდა. მაგალითად, თვითეული მგრეხავი ვეგვით გათვალისწინებული 250 კილოგრამი პროდუქციის ნაცვლად საშუალოდ 300-350 კილოგრამ კორდის ძაფს უშვებს. ამასთან მგრეხავები ცდილ ეძებენ გზებს, რათა კიდევ უფრო აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გაზარდონ საგრეხ-გამქმედი მანქანების წარმადობა.

დ. მეჯელური,

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ცხელი გამომვლის საამქროს პარტიბიუროს მდივანი.

„ლუნოხოდ-2“: შესრულდა კვლევის პროგრამა მთვარეზე

საქადენის ცნობა

მთლიანად შესრულდა მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამა, რომლებიც მოეწყო „ლუნოხოდ-2“ ავტომატური თვითმავალი აპარატის საშუალებით.

ოთხი თვის მანძილზე „ლუნოხოდ-2“ აპარატთან მოეწყო რადიოკავშირის 60 სეანსი, რომელთა დროს სრულდებოდა საბორტო სისტემების მუშაობისადმი კონტროლის, მოძრაობის მართვის ოპერაციები, მეცნიერული ექსპერიმენტები და გადმოიცემოდა ინფორმაცია დედამიწაზე.

„ლუნოხოდ-2“ მთვარის ზედაპირზე 1973 წლის 16 იანვარს მიიტანა „ლუნა-21“ ავტომატურმა სადგურმა, რომელიც დაჯდა სიკაჟაშის ზღვის აღმოსავლეთ კიდეზე, ლემონიეს კრატერში. დაჯდომის ადგილის არჩევა განისაზღვრებოდა ზღვა-მატერიკის გარდამავალ ზონაში მთვარის შესახებ მეცნიერული მონაცემების კომპლექსის მიღების-საჭიროებით.

დასახულ ამოცანათა შესაბამისად შემუშავდა თვითმავალი აპარატის მოძრაობის მარშრუტი. მთვარის პირველი ორი დღის მანძილზე ავტომატური ლაბორატორია მოძრაობდა სამხრეთისაკენ მატერიკის რაიონის მიმართულებით. სანაპირო რაიონის დეტალური გამოკვლევის შემდეგ მთვარემავალი წავიდა აღმოსავლეთი მიმართულებით დიდი ტექტონიკური ნარღვევისაკენ, რომელიც გადაჭიმულია 16 კილომეტრზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. გულმოდგინედ გამოკვლეულ იქნა ამ ნარღვევის როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი მხარეები.

ხუთი მთვარის დღის მანძილზე, რთული რელიეფის პირობებში მოძრაობისას, ავტომატურმა აპარატმა გაიარა 37 კილომეტრი. „ლუნოხოდ-2“ აპარატის გაზრდილი მანევრულობისა და მობილურობის წყალობით გავლილია 3,5-ჯერ მეტი მანძილი, ვიდრე პირველმა „ლუნოხოდ-1“ თვითმავალმა აპარატმა გაიარა.

თვითმავალ ლაბორატორიაში დადგმული სატელევიზიო აპარატურის საშუალებით დედამიწაზე გადმოიცა მთვარის ზედაპირის 86 პანორამა და 80 ათასზე მეტი სატელევიზიო ხუთი ათასი ფოტო. გადაღების დროს მიღებულია რელიეფის ყველაზე საინტერესო თავისებურებათა სტერეოსკოპიული გამოსახულებანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დეტალურად შევისწავლოთ მისი აგებულება.

მთვარის მოძრაობის ტრასაზე რეგულაციულად იზომებოდა მთვარის გრუნტის ზედაპირული ფენის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და არაერთგზის მოეწყო მთვარის ქანების ქიმიური შედგენილობის ანალიზი. გამოკვლევების შედეგად მიღებულ მრავალფეროვანი ინფორმაცია მთვარის ზედაპირზე სხვადასხვა წარმონაქმნების შესახებ: კრატერების, კარიერების და ცალკეული ქვების შესახებ, ტექტონიკური ნარღვევის ფერდობების შესახებ.

მოძრაობის მთელ ტრასაზე განუწყვეტლივ იზომებოდა მაგნიტური ველის ვარიაციები და მთვარის ქანების დამაგნიტება. მიღებული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მთვარის ზედაპირზე მაგნიტური ველი ერთგვაროვანი არ არის. მთვარის მაგნიტომეტრი აღნიშნავდა მთვარის ზედაპირის ცალკეულ უბნებზე მაგნიტური ველის დაძაბულობის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ტრასის სხვადასხვა წერტილში მთვარემავლის უძარავი მდგომარეობის დროს შესრულებული ხანგრძლივი მაგნიტური გაზომვების შედეგებმა საშუალება მოგვცეს მიგვეღო ინფორმაცია ასობით კილომეტრ სიღრმემდე მთვარის შინაგანი აგებულების შესახებ.

გაგრძელდა მზისა და გალაქტიკური წარმოშობის კორპუსკულარული გამოსხივების მახასიათებელთა გაზომვები. ეს ექსპერიმენტები საალბატომორისო და მთვარისირგვლივ სივრცეში ფიზიკური პროცესების იმ გამოკვლევების მრავალი წლის პროგრამის განგრძობაა, რომლებსაც აქამდე ახორციელებდა ბევრი ავტომატური სადგური.

მთვარის ზედაპირიდან პირველად სრულდებოდა მთვარის ცის ნათების გაზომვები, ეწყობოდა მთვარემავლის ლაზერული პელენგაციის ექსპერიმენტები. ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის ხილულ და ულტრაიისფერ სფეროებში მთვარის ცის ნათების გაზომვის ექსპერიმენტებმა საშუალება მოგვცეს მივეღეთ საინტერესო შედეგები. წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთვარე გარემოცულია მტვრის ნაწილაკების ფენით, რომლებიც ძლიერ ფანტავენ ხილულ მზის სინათლეს და დედამიწის არეულილ სინათლეს.

ლაზერების საშუალებით მთვარის კოსმოსური სადგურების სელენოგრაფიული კოორდინატების გაზომვის სისტემის დახვეწის მიზნით „ლუნოხოდ-2“ აპარატზე გამოყენებული იყო ლაზერული გამოსხივების ფოტომიმღები „რუბინ-1“. თვითმავალი აპარატის მუშაობის პერიოდში საბჭოთა კავშირის რამდენიმე ობსერვატორიაში დადგმული ოპტიკური კვანტური გენერატორების საშუალებით სრულდებოდა მთვარემავლის ლაზერული პელენგაციის ექსპერიმენტები. ოპტიკური სიგნალები, რომლებსაც იღებდა ფოტომიმღები, რეტრანსლაციირებული იყო რადიოსიგნალით დედამიწაზე. ამ დროს მიღებულმა შედეგებმა საშუალება მოგვცეს მაღალი სიზუსტით განგვესაზღვრა მთვარემავლის სელენოგრაფიული კოორდინატები.

მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე მთვარემავლის საბორტო სისტემებმა და კონსტრუქციებმა გაუძლეს მნიშვნელოვან დინამიკურ დატვირთვას და კარგად გადაიტანეს მკვეთრი ტემპერატურული რყევანი. ხელსაწყოს კონტეინერში განუწყვეტლივ დაცული იყო მიკროატმოსფეროს გათვალისწინებული პარამეტრები: ტემპერატურა — ჰპლუს 12-დან ჰპლუს 32 გრადუსამდე ცელსიუსით, წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 770-დან 830 მილიმეტრამდე.

„ლუნოხოდ-2“ ავტომატური აპარატით მუშაობა დამთავრდა. საბჭოთა თვითმავალი ლაბორატორიის საშუალებით მიღებული მეცნიერული ინფორმაცია ხელს შეუწყობს მთვარისა და კოსმოსური სივრცის შესახებ ცოდნის შემდგომ გაფართოებას.

განხორციელებული მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების შედეგები გამოქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1973 წლის 3 ივნისს „ტუ-144“ სუპერბგერითი მგზავრთმამტარებელი ფრენის შესრულების დროს ლე-ბურჟეს აეროდრომის მახლობლად პარიზის მიდამოებში დაიღუპნენ საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის დამსახურებული გამოცდილი მფრინავი მ. ვ. კოზლოვი, გამოცდილი მფრინავი ვ. ვ. მოლჩანოვი, თვითმფრინავის შტურმანი ბ. ნ. ბაბეჩინოვი, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე, გენერალ-მაიორი, ინჟინერი ვ. ნ. ბენდეროვი, წამყვანი ინჟინერი ბ. ა. კერპუზინი, ბორტინჟინერი ა. ი. დრალინი და ხამძღარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებსა და ნათესავებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ლე-ბურჟეში მომხდარი საავიაციო კატასტროფის გამო შეძრწუნებული, ძმურად თანაგვიგრძნობთ და სოლიდარობას გიცხადებთ.

გთხოვთ გადასცეთ ეს გრძნობები დაღუპულთა ოჯახებსა და მთელ საბჭოთა ხალხს.

ჟორჟ მარშე,

საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი.

სამძიმრის დეპეშები

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პ. მესმერმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს „ტუ-144“ თვითმფრინავის კატასტროფასთან დაკავშირებით გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც გამოსცა პირადად თავისი და ბევრი ფრანგის თანაგრძნობა, რომლებიც აღტაცებული ასრულებდნენ ამ ფრენას. ამ დეპეშაში ნათქვამია, რომ ეს ტრაგედია ფრანგეთის ეროვნული მიღწევებია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ჟ. მესმერს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც საბჭოთა მთავრობის სახელით დიდი სინანული გამოთქვა ფრანგი მოქალაქეების დაღუპვის გამო, რომლებიც „ტუ-144“ თვითმფრინავის კატასტროფის რაიონში აღმოჩნდნენ. დეპეშაში გამოთქმულია სამძიმარი დაღუპულთა ოჯახების წევრებისა და ნათესავებისადმი და თანაგრძნობა ყველა დაშავებულისადმი. (საკდესი).

თვითმფრინავის კატასტროფა

რამდენიმე სადემონსტრაციო ფრენის შემდეგ 3 ივნისს პარიზის გარეუბანში ბურჟეს აეროდრომის მახლობლად კატასტროფა განიცადა საბჭოთა „ტუ-144“ თვითმფრინავმა. თვითმფრინავში მყოფი ეკიპაჟის წევრები დაიღუპნენ.

კატასტროფის მიზეზებს იკვლევენ. (საკდესი).

კატასტროფის გამოძიება

4 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრმა რ. გალემ განაცხადა, რომ საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრო საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით გამოიძიებს „ტუ-144“ საბჭოთა თვითმფრინავის კატასტროფის გარემოებებს.

კატასტროფა მოხდა სადემონსტრაციო ფრენის დროს მცირე სიმაღლეზე ლე-ბურჟეს აეროდრომის ასაფრენი მოედნის მახლობლად, სადაც პარიზის საავიაციო გამოფენა მიმდინარეობდა.

თვითმფრინავის ნამსხვრევებით დაზიანდა მთელი რიგი სახლები აეროდრომის ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტში. არის მსხვერპლი.

გაანვიხილავთ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს

საჯაროობა, ქმედითობა, ეფექტიანობა

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის გორის საქალაქო კომისიის პირველი ნაბიჯები

- მოქმედებს მაჩვენებლების „წითელი“ და „შავი“ დაფა.
- გორელ ფეიქრებს გამოცდილებას უზიარებს თბილისელი ფეიქარი მზია არათანაშვილი.
- ლექციებს კითხულობენ წარმოების ნოვატორები.
- ცნობილი რუსთაველი მძახსავის, ელენე კოწიწაშვილის მიმდევართა რიგები იზრდება.
- ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 729,5 ათასი მანეთის პროდუქცია.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის პირველი ნახევარი დასასრულს უახლოვდება ახლა უკვე დროა შეეჯაჭოთ სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები და სწორად განსაზღვროთ წლის მეორე ნახევარში რენტაბელურად მუშაობის გზები. სწორედ ამიტომ გორის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიამ, რომელიც თებერვალში შეიქმნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, ფართო მუშაობა გააჩაღა შეჯიბრების შედეგების შეჯამების უკეთ მოწყობისათვის. კომისიამ სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოებში, სამშენებლო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო ორგანიზაციებში შექმნა ადგილობრივი კომისიები, რომლებსაც როგორც წესი, სათავეში ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

კომისია მუშაობს გეგმით, რომელიც კომისიამ განიხილა და მოიწონა.

ჯერ კიდევ თებერვალში, როცა კომისია ის-ის იყო პირველ ნაბიჯებს დგამდა, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ მიიღო დადგენილება — გაძლიერებულიყო ქალაქის სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების თვიური და კვარტალური გეგმების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი. და საქალაქო კომისიის რეკომენდაციებით (ალკიული კოლექტივები აბარებდნენ ანგარიშებს ან საქალაქო კომიტეტის ბიუროს, ან საქალაქო საბჭოს აღმასკომს. მაგალითად, საქალაქო კომიტეტის ბიუროომ მოისმინა ბინათმშენებლობის მიმდინარეობის, რკინიგზის ჯაჭონების ეფექტურად გამოყენების, მშენებლობაზე მექანიზმების და ავტოტრანსპორტის გამართულად მუშაობის საკითხები.

ყოველთვიურად მოწმდება ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა, ხოლო შედეგები ქვეყნდებოდა ადგილობრივი გაზეთის „გამარჯვების“ ფურცლებზე შედეგების შიმოწმებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ფიქრობენ ჩამორჩენილი კოლექტივების მუშაობას, ახსნა-განმარტებას ვთხოვდით ამ კოლექტივების სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებს.

საილუსტრაციოდ მოვიყვან ასეთ მაგალითს: პირველ კვარტალში ბოლოფქიის რეალიზაციის გეგმა ვერ შესრულა № 5 რკინაბეტონის ქარხნის კოლექტივმა. მისი ჩამორჩენა კი ოკან იწოდა ქალაქის საერთო მაჩვენებელს. შედეგების შეჯამებისას აღმოჩნდა, რომ კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა, უზრუნველყო ანტვირთვის დავალებაც, მაგრამ რადგან მშენებლებმა ცოტი ფინანსური პირობების გამო ფული ვერ გადაურიცხეს, გეგმაც ამიტომ ჩავარდა. შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიამ სწორად ცნო საწარმოს ხელმძღვანელობა ახსნა-განმარტება, და მოსთხოვა მათ, რომ მომდევნო თვეებში უთუოდ გადაეფარათ ეს დანაკლისი. მართლაც ქარხანამ აპრილში რეალიზაციის გეგმა 164,2 პროცენტით შეასრულა და დავალიანება გადაიხარა.

რ ოგორ ვიწყებთ შედეგების შეჯამებას? ადმინისტრაციულ წესობაში გაკეთებულია სპეციალური სტეენდი — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“. აქ ქალაქის სახალხო მეურნეობა წარმოდგენილია რამდენიმე განყოფილებად — მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება. თვითეულ ამ განყოფილებას აქვს გრაფები — „წინ მიდიან“ და „ჩამორჩენიან“. ეს გრაფები შესაბამისად შეღებილია წითელ და შავ ფერად. ამრიგად, მოწინავეები (კოლექტივის ხელმძღვანელის გვარის დასახელებით) მოხვდებიან წითელ დაფაზე, ხოლო ჩამორჩენილები შავ დაფაზე. აქ შეიტანება ყოველთვიურად ვაქვეყნებთ, გათვალისწინებულია ამ შედეგების ვამოქვეყნება უფრო ოპერატიულად.

ამიტომ ვამზადებთ მეგობრობის სტენდს, რომელიც ქალაქის ცენტრისა და ოქტომბრის ფაბრიკის ეზოებში ერთ-ერთ ადგილზე დაიდგმება. აქ ნაწილები იქნება გორისა და იმ ქალაქების სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებთანაც ჩაბმული ვართ სოციალისტურ შეჯიბრებაში. აქვე იქნება ვალდებულებების შესრულების კვარტალური შედეგები.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ქალაქის მრეწველობამ თავი დააღწია ხანგრძლივ ჩამორჩენას და პირნათლად ასრულებს არამარტო საბჭოშეფო გეგმებს, არამედ ნაკისრ ვალდებულებებს, 1973 წლის პირველ კვარტალში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაზრდილია 8 პროცენტით, რეალიზაციისა — 12 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 5 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა ხუთი თვის გეგმაც, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 729,5 ათასი მანეთის პროდუქცია.

ჩვენ უყურადღებით გავეცანით მოწინავე კოლექტივების გამოცდილების წარმოების რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების საქმეში და ბევრი გამოუვლინებელი რეზერვი ჩავაყენეთ პროგრესის სამსახურში, 1972 წელი (იგი მაჩვენებლებით დაამთავრა ბამბიულის კომბინატმა, გარეკვეცამ 8.232 ათასი მანეთი შიადგინა. წელს ოთხ თვეში უკვე შექმნილია 609 ათასი მანეთის ჭარბი პროდუქცია. თუ ამ რიმშს (ოტას კიდევ გავიუმჯობესებთ, აუცილებლად შევძლებთ ხუთწლედის დავალების პირნათლად შესრულებას.

ამიტომ ვცდილობთ ყოველ სამუშაო უბანზე მაღალ დონეზე ორგანიზებთ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, დავნერგოთ ახალი ფორმები და მეთოდები.

მარტში ჩვენ მოვისმინეთ ბამბიულის კომბინატის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიის თავმჯდომარის, პარტიკომი კომიტეტის მდივნის ს. გუდაძის ინფორმაცია ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის გაწეული შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

წელს კომბინატის მრავალთანამედროვე კოლექტივი უკეთესად შრომობს. შეჯიბრება ქმედითი და საჯაროა. კომბინატში ახლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შედეგების სისტემატურ შეფასებას, გამარჯვებულთა წახალისების ფორმების სრულყოფას. ახლა კომბინატში არიან ე. კოწიწაშვილის, მ. არათანაშვილის მიმდევრები. საკავშირო რეკორდებს აჭარბებენ ჩვენი ფეიქრები მრთველი მერი ტატურაშვილი, მქსოველი ლამარა კაკოიშვილი, ქვეოსტატები ირაკლი კობერიძე, კარლო ბესტავაშვილი, გიორგი ჭოხონელიძე.

მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისათვის შეიქმნა მოწინავეთა გამოცდილების სკოლები, შემოღებულია ინფორმაციის დღეები, (ითხულობენ ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებით გამოდიან წარმოების ნოვატორები, ხუცესიანტები.

ჩვენი აზრით, გორელმა ფეიქრებმა ერთი მეტად კარგი სიახლე შემოგვთავაზეს და ფიქრობენ იგი ტრადიციად დაამკვიდრონ. კომბინატში მოიწვიეს თბილისელი ნოვატორი მრთველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მზია არათანაშვილი, რომელმაც აქ ერთი სამუშაო დღე გაატარა და თავისი მუშაობის გამოცდილება გორელ ფეიქრებს გააცნო.

იმ ღამეს დაიბადა ახალი შეჯიბრებაც — თბილისელი ფეიქარი გორელმა მრთველმა მერი ტატურაშვილმა შეჯიბრებაში გამოიწვია. ამ ორი მოწინავე ფეიქრის გამოცდილებას ახლა ბევრი ახალგაზრდა ეცნობა კომბინატში.

მიუხედავად ამისა, რომ კომბინატი თავისი მასშტაბით ძალიან დიდია, აქ მაინც მიაღწიეს იმას, რომ შეჯიბრების შედეგებს ყოველდღიურად აჯამებენ. ცალკეულ დაფებზე აკრავენ მოწინავეთა გვარებს, „ელვა ფურცლები“ განგაშს ტრენენ ჩამორჩენისათვის და ა. შ.

წელს ქალაქში დაიბადა ახალი ინიციატივა — „მხარში ამოვუდგეთ ფეიქრებს“ ქალაქის საწარმოებში და დაწესებულებებში მომუშავე ყოფილმა ფეიქრებმა, რომლებსაც ჯანმრთელობის გამო აქ მუდმივი მუშაობა აღარ შეუძლიათ. გადაწყვიტეს წელიწადში გამოიმუშაონ 60 სამუშაო დღე. ყოფილმა მრთველებმა, მქსოველებმა, მეფთილეებმა, მელენტიეებმა გაიხსენეს თავიანთი ძველი პროფესიები და გააჩაღეს შეჯიბრება. თებერვლიდან მოყოლებული კომბინატში ყოველდღიურად დამატებით მიდის 25-30 ძირითადი სპეციალობის ძველი მუშა, რომლებიც 200-მდე საქსოვ დაზგასა და 20-მდე სართავ მანქანას ამუშავებენ.

სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობას დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის მშენებლობებზეც, და სამაყოა, რომ გორელი მშენებლები მოწინავენი არიან ამ შეჯიბრებაში. ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ ძველი ტრადიციები აღიდგინა ქალაქის უმთავრესმა სამშენებლო ორგანიზაციამ — № 9 სამშენებლო ტრესტმა. ტრესტში შემავალი სამშენებლო კოლექტივების პარტიული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ ბინათმშენებლობის ტემპების დაჩქარებასა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის ამაღლებას.

გორელი მშრომელები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ბრიანსკის ოლქის ქალაქ კლინცის და ქალაქ ბათუმის მშრომელებთან. ყოველკვარტალური შედეგების შეჯამება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, საერთო საქმიანობის წინსვლის კარგ გარანტიას იძლევა.

გორელმა მშრომელებმა გაანალიზეს ნაკისრი ვალდებულებები აპრილსა და მაისში. ოთხი თვის მონაცემებით, თოთხმეტივე საწარმომ დიდი გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალებანი.

მაგრამ ყოველივე ეს არც ერთი წუთითაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. პირიქით, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დარგში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები.

უმთავრესად რაში გამოიხატება ეს?

ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ შეჯიბრების ახალი ფორმებისა და მეთოდების მეტად მდიდარ არსენალს, ბოლომდე ვერ დავდგიწეთ თავი ფორმალიზმს, ამიტომ ზოგიერთ საწარმოში ჯერჯერობით ცალკეულმა მუშებმა არათუ სოციალისტური ვალდებულებები, არამედ პირადი ნორმებიც და ვეგმებიც კი არ იცვნენ. სოციალისტურ შეჯიბრებას ქმედითობას უკარგავს შედეგების შეჯამების არასწორი პრაქტიკა, როცა შედეგები ჯამდება ძალიან დაგვიანებით. ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ჩვენს მუშაობაში არის აგრეთვე ის, რომ შედეგების შეჯამებისას იგრძნობა მხოლოდ საწარმოო მაჩვენებლებისადმი გამოდევნება და უკანა პლანზე რჩება ვალდებულებების ის ნაწილი, რომელიც ეხება მუშათა საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების გაუმჯობესებას, პროფესიული დოსტატებას, ზრუნვას წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, ახორციელენის გაფართოებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენს ქალაქში სამრეწველო საწარმოთა არც ერთმა სახის პროდუქციის არა აქვს მიკუთვნებული ხარისხის ნიშანი.

და, ბოლოს, ჩვენი მუშაობის არსებითი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ სრულად ვერეწვიეთ მოწინავეთა გამოცდილების პრომპვგანდას. ეს კი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია.

ჩვენი ვალია უახლოეს ხანში გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებები და მოწინავეთა გამოცდილება ყველას კუთვნილება გავხადოთ.

მაშინ შეჯიბრება ნამდვილად ქმედითი იქნება.

კ. ქრისტესიაშვილი,

საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ეკონომიკური ბალანსი

ვიშრომოთ მომჭირნედ, ყაირათიანად!

მატერიალური რესურსების გამოყენების მაქსიმალური შემოწმება

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია უზრუნველყოთ შავი ლითონების ნაგლინის მნიშვნელოვანი დაზოგვა, შეავ

მსოფლიო ფაქტი

ამბები, ფაქტები, პრობლემები

ნიუ-იორკი

ამერიკელები მიესალმებიან ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს

4 ივნისი, (საკადესი). ამერიკელთა უმრავლესობა მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოდის საქმიანი მოსაზრებებით. ვიზიტის ერთერთი მიზანი — საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის ზადიდება, მოასწავებს არა მარტო ურთიერთსარგებლობას ორივე ქვეყნისათვის, არამედ აგრეთვე იმას, რომ ბევრი ამერიკელი უმუშევარი მიიღებს სამუშაოს საბჭოთა შეკვეთების შესრულებაში მონაწილეობით.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოდის, რათა კიდევ უფრო განავითაროს საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობა მეცნიერების, მედიცინის, მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის ათვისების დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, თქვა შემდეგ ეს ჰოლმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოდის, რათა განამტკიცოს მშვიდობის საქმე, რომლის დასაყრდენი არიან საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოდის, როგორც მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წარმომადგენელი, როგორც ახალი საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც იბრძვის მშვიდობისმოყვარე ძალების გამარჯვებისათვის.

კეთილი იყოს!..

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის მიმართვა ხალხებისადმი

ნიუ-იორკი. (საკადესი). ამერიკელი ხალხისადმი მიმართვაში ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოსვლას ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში და გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკელები გულთბილად შეხვდებიან საკაპიო საბჭოთა სტუმარს".

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ქვეყანაში, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ! ამერიკელ ხალხს სურს მშვიდობა, სსრ კავშირთან მეგობრობა და თანამშრომლობა და ეს სჭირდება, ნათქვამია მიმართვაში. თქვენი ვიზიტი ისტორიული ნიშანსვეტი იქნება ჩვენი ქვეყნების კეთილი ურთიერთობის განვითარების გზაზე, რაც შეესაბამება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა პროგრესის, მშვიდობისა და კეთილდღეობის ინტერესებს.

თქვენი ვიზიტი შეესაბამება იმ მუშაობის სულისკვეთებას, რომელიც დაიწყო გასული წლის მაისში, როცა მოსკოვში უმაღლეს დონეზე გაიმართა ღირსშესანიშნავი შეხვედრა, და მისი გაგრძელებაც იქნება. ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა მოსკოვში მტკიცედ გადაწყვიტეს მრავალი წლის „ცივი ომის" მტრული ურთიერთობა შეეცვალათ ახალი კურსით, რომელსაც საფუძვლად უდვეს დიამეტრულად საწინააღმდეგო სოციალური წყობილების ორი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რათა ხელი შეუწყონ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

მთელი მსოფლიო აღფრთოვანებულია იმ მუშაობის გამო, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილ ორ წელიწადში გასწია საბჭოთა ხელმძღვანელობამ და პირადად თქვენ, მუშაობით, რომლის მიზანია სახელმწიფოთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცება, ხალხთა სოციალური პროგრესი და თავისუფლება. თქვენი თვალსაჩინო პირადი წვლილი საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში აღიარებულია იმით, რომ თქვენ მოგენიჭათ მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემია.

ჩვენს ქვეყანაში თქვენი ვიზიტის გამო, თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, ბრძანეთ, რომ თქვენი მხრივ მზად ხართ განაგრძოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის უკვე დაწყებული გაუჯობესება, რათა განაგრძოთ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. თქვენ ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ასეთი განვითარება შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს და ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობის გაუჯობესებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საერთო პროცესის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ გრძნობებს გულთბადად გამოეხმაურებიან ჩვენი ქვეყნის ხალხად მოაზროვნე მოქალაქეები. საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება მნიშვნელოვანწყლად დამოკიდებულია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შესაბამისად ხსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარებაზე, ნათქვამია მიმართვაში. ამ გზაზე გადადგმული თვითეული ნაბიჯი ფართო მასების ინტერესების შესაბამისი იქნება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შეამცირებს ორ დიდ სახელმწიფოს შორის თერმოატომური ომის წარმოშობის საფრთხეს, არამედ იმიტომაც, რომ გაჩნდება ვაჭრობის დარგში თანამშრომლობის, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის გაფართოების ხელშემწყობი შესაძლებლობანი.

მიმართვაში ნათქვამია იმედი, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებში მეტად ნაყოფიერი იქნება და მას მოყვება ახალი ზარმატებანი ამერიკელი და საბჭოთა ხალხების მშვიდობის, განიარაღებისა და თანამშრომლობის განვითარების გზაზე მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ. მეცხრე კვირაა მანჩესტერში გრძელდება მანქანათსამშენებლო ქარხნის 2.000 მუშისა და მოსამსახურის გაფიცვა. მანჩესტერის საწარმოების 33 ათასმა მუშამ გადაწყვიტა სოლიდარობა გამოუცხადოს გაფიცულ ამხანაგებს, იგ გამოიხატება იმით, რომ ყოველ ოთხშაბათს ახინი თავიანთ ქარხნებსა და ფაბრიკებში მოაწყობენ ერთსაათიან მჯდომარე გაფიცვას.

ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ეს ადამიანები მეცხრე კვირაა გაფიცული არიან.

ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ბონი

დიდმნიშვნელოვანი შეხვედრები

2 ივნისი. (საკადესი). კანცლერ ვ. ბრანდტის თავმჯდომარეობით გაიმართა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სხდომა. როგორც აღნიშნულია სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, ვ. ბრანდტმა გამგეობის წევრებს გააცნო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელი ვიზიტის შედეგები. გამგეობამ, ხაზგასმულია კომუნიკეში, „კმაყოფილებით მიიღო ცნობად 1973 წლის 21 მაისს გამოქვეყნებული ერთობლივი განცხადება".

ვ. ბრანდტმა გამგეობას გააცნო შედეგები მოლაპარაკებისა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების დადების შესახებ. მისი სიტყვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე კვირის მანძილზე ხელშეკრულება პარაფირებული იქნება მონაწილე მხარეების მიერ.

გამგეობის სხდომაზე გამოვიდა აგრეთვე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გ. ვენერი.

ვაშინგტონი

ამერიკა-ჩინეთის ვაჭრობის ხელშეკრულება საბჭო

3 ივნისი. (საკადესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამერიკის კავშირის ჯგუფის მეთაურის მოადგილემ ა. ჯენკინსმა, რომელიც გამოვიდა, ამერიკა-ჩინეთის ვაჭრობის ხელშეწყობი ეროვნული საბჭოს კონფერენციაზე, აღნიშნა, რომ ამერიკელი დიპლომატები „ჭას ჯაუკალაკენ ბიზნესმენებს ჩინეთის სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში".

სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ეკონომიურ საქმეებში უ. კეისმან აღნიშნა, რომ სავაჭრო ბრუნვამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1972 წელს 90 მილიონ დოლარს გადაჭარბა. 1973 წელს ვაჭრობა კიდევ ფართოვდებოდა, რაც მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეიძლება გახდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი სავაჭრო პარტნიორი.

ედუარდ ვალენფერი:

ვიზიტი სასარგებლო იყო

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით 30 მაისიდან 3 ივნისამდე რესპუბლიკაში იყო ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტიროლის სამხარეო ორგანიზაციის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტიროლის მთავრობის მეთაური ედუარდ ვალნეფერი.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, გაეცნენ თბილისის ცხოვრებას, იყვნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ეწვივნენ გორს.

ტიროლის მთავრობის მეთაურის ე. ვალნეფერის პატივსაცემად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა გამართა ვახშამი. ვახშამზე გ. ჯავახიშვილმა და ე. ვალნეფერმა წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები.

— ჩვენი ვიზიტი საქართველოში, — თქვა ედუარდ ვალნეფერმა, — მეტად სასარგებლო იყო. ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, რომ კონტაქტები ტიროლსა და საქართველოს შორის განვითარდება და განმტკიცდება.

დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვს. აეროდრომზე მას აცილებდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, თბილისის მრრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბუსკინი, ინოსტრანცევის სახელობის სახელმწიფო სალიტერატურო ენათა ინსტიტუტის დირექტორი ბ. ბოგატიკოვი, ელჩები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე და სხვა ოფიციალური პირნი. (საქინფორმი).

ᲤᲐᲠᲨᲐᲕᲐ

პეკინი თიშავს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას

„ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ ᲚᲣᲓᲣ" პეკინის პოლიტიკისადმი მიძღვნილ სტატიაში წერს, რომ მაოისტური ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მესამე სამყაროს ქვეყნებს და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ამასთან იმედი აქვს დაიმორჩილოს ისინი და გამოიყენოს თავისი შოვინისტური და ანტისოციალისტური მიზნებისათვის.

ამ მიზნით, ნათქვამია სტატიაში, პეკინი ცდილობს განხეთქილება შეიტანოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და დაუპირისპიროს იგი თანამედროვეობის ორ ძირითად რევოლუციურ ძალას, რომლებიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან.

თავის ძირგამომთხრელ საქმიანობას პეკინი ნიღბავს ცრო-რევოლუციური დემაგოგიითა და ერთი შეხედვით ანტიიმპერიალისტური ლოზუნგებით, რომელთა მიღმა, არსებითად, იფარება დიდერსია სოციალიზმისა და იმ ხალხთა საარსებო ინტერესების წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა თუ დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

მაგრამ, წერს შემდეგ გაზეთი, რადგან მესამე სამყაროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და სხვა პროგრესული ძალები, პეკინის მეცადინეობის მიუხედავად, ელტვიან სოციალისტურ ქვეყნებს და მეჯდრო კავშირი აქვთ საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის ხელმძღვანელები ყველაფერს ცდილობენ, ოღონდ ხელი შეუშალონ ამას. ბოლო წლებში ისინი მზარს უჭერენ მესამე სამყაროს ყველა ძალას — „მეძარცხენე" იქნება იგი თუ მემარჯვენე, ოღონდ ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური იყოს.

განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს წინააღმდეგ არის მიმართული აგრეთვე პეკინის ეკონომიური კონცეფციები. პეკინს, უწინარეს ყოვლისა, ინტერესებს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდა ქვეყნებისა და სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის საბოტაჟი, რადგან სოციალისტური ქვეყნები მათ ეხმარებიან მძიმე მრეწველობის ობიექტების შენებლობაში, ხოლო ჩინეთის ხელმძღვანელებს სურთ ამ ქვეყნების განვითარების მიმართულება დაიქმედბარონ თავიანთი ეგოისტური ეკონომიური ინტერესებს, დიდმპყრობელური პოლიტიკური მიზნებს, ანგარიშს აწევენენ იმ ქვეყნების მოთხოვნილებებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის მემკვიდრეების, ჩამორჩენილობისა და ნეოკოლონიალური დამოკიდებულების წინააღმდეგ.

„ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ ᲚᲣᲓᲣ" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობას სურს აზიის ქვეყნებს მოიანიაროს თავისი კონცეფციები და თავისი ბატონობა და, სანამ ეს შეუძლებელია, ცდილობს ხელი შეუშალოს აზიაში მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ კონტინენტის ყველა სახელმწიფოს კოლექტიური უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპების საფუძველზე.

ჩინეთის ხელმძღვანელების გამათიშველი და დიდმპყრობელური, პოლიტიკა, წერს „ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ ᲚᲣᲓᲣ", ძირს უთხრის აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და ასუსტებს ერთიან ანტიიმპერიალისტურ ფრონტს, აფერხებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ პროცესებს, რომლებიც ამ ბოლო წლებში ვითარდება ამ სამ კონტინენტზე, და ხელშეშლას ბრობებს უქმნის ნეოკოლონიალიზმის კონტრშეტევას. (საკადესი).

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

„არჩევნები" დამთავრდა, ტერორი გრძელდება

4 ივნისი. (საკადესი). ოლსტერში თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მოწყობა ოფიციალური ლონდონის ფუჭი ცდაა იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი, თითქოს ინგლისის მთავრობა ესწრაფვოდეს კრიზისის მშვიდობიან მოწესრიგებას პროვინციაში, განაცხადა თემთა პალატის წევრმა ბერნადეტა დევლინმა. გუშინ ლონდონდერში მიტინგზე მან ხაზი გაუსვა: ამ არჩევნებს არ მოჰყოლია პროვინციაში პოლიტიკური ვითარების შეცვლა: ჩრდილოეთ ირლანდიაში გრძელდება ინტერნირება, ხოლო კათოლიკე მოსახლეობა წინანდებურად მოკლებულია პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს.

სანამ ოლსტერში იქნება ინგლისის არმია, განაცხადა ბერნადეტა დევლინმა, ხოლო პროვინციას განაგებს ბრიტანეთის ადმინისტრაცია, კათოლიკური გეტოების მცხოვრებლებს არ უნდა ჰქონდეთ თავიანთი კანონიერი ადამიანური უფლებების მიღების იმედი.

ლონდონის პრესის ცნობით, კათოლიკური ოჯახები პროტესტანტ ექსტრემისტთა ტერორის შიშით კელავ ტოვებენ თავიანთ სახლებს და თავშესაფარს ეძებენ მეზობელ ირლანდიის რესპუბლიკაში. 1969 წლიდან ინგლისის ჯარების მიერ ოლსტერის ოკუპაციის დროიდან ასეთ ლტოლვილთა რიცხვმა უკვე 60.000 კაცს გადააჭარბა.

ამავე დროს ექსტრემისტები და ულტრამემარჯვენე არამზადები კელავ მძვინვარებენ პროვინციის კათოლიკურ უბნებში, ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და ზეგენ მათ სახლებს.

გუშინ ბელფასტში ოთხ პირგერიის რაიონის ერთ-ერთ სახლში შეიჭრა ორი ნიღბიანი ბანდიტი, თოფით დახოცა ორი და დაჭრა ერთი ადამიანი, შემდეგ კი მანქანით მიიმალა. ბელფასტის ორი სხვა მცხოვრები დახოცეს პირდაპირ ქუჩაში ერთი საათის შემდეგ. ტერორის ესოდენ აღვირახსნილი კამპანია, რომელიც ექსტრემისტებმა თავს დაატეხეს კათოლიკეებს, აღნიშნავენ ადგილობრივი მეთვალყურენი, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ინგლისის მთავრობის წაყრუების მეოხებით.

ᲜᲘᲪᲪᲐ

ტერორისტთა გამოხდომები კვიპროსში

4 ივნისი. (საკადესი). გენერალ გრივასის არალეგალურმა ჯგუფებმა, რომლებიც საბერძნეთთან კვიპროსის შეერთებისათვის იბრძვიან, ახალი ტერორისტული გამოხდომები მოახდინეს კუნძულზე. ქალაქების პაფოსისა და ლიმასოლის რაიონში მათ მოახდინეს 15-მდე აფეთქება, დააზიანეს ტელეფონის ბაზები და ელექტროგადამცემი ბაზები. სოფელ პოტამნოსთან ლიმასოლის ახლოს ტერორისტები ხიუსაფრდნენ პოლიციელთა პატრულს. სროლის დროს დაჭრა ერთ-ერთი პოლიციელი.

ტერორისა და დივერსიების ახალი აქტები გამოწვეულია იმით, რომ გუშინ დაიწყო პაფოსის ახალი ეპისკოპოსის არჩევნები. არჩევნები ეწყობა კვიპროსის პრეზიდენტის არქიეპისკოპოს მაკარიოსის განკარგულებით, როგორც ერთ-ერთი ღონისძიება, მიმართული საეკლესიო ოპოზიციის წინააღმდეგ.

ᲓᲔᲚᲘ

გაუშვეს საცდელი რაკეტები

4 ივნისი. (საკადესი). წარმატებით განხორციელდა ინდური წარმოების რაკეტების საცდელი გაშვება შრიჰარიკოტის (ანდჰრა-პრადეშის შტატი) მოედნიდან. გაშვება ინდოეთის კოსმოსური კვლევის ორგანიზაციის პროგრამის ნაწილია. ეს ექსპერიმენტი საშუალებას იძლევა დასვეწონ რაკეტების გაშვების დეტალები, აგრეთვე გამოსცადონ მართვის სისტემები.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ

ოფიციალური ვიზიტი

3 ივნისი. (საკადესი). რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ აღმასრულებელ კომიტეტის საბჭოს თავმჯდომარის ნ. ჩაუშესკუს მოწვევით დღეს ბუქარესტში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი მეუღლისთან ერთ.

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ

უჩვეულო დემონსტრაცია

3 ივნისი. (საკადესი). უჩვეულო დემონსტრაცია გაიმართა დღეს ანტვერპენში. ქალაქის ჭიშკრებში სპეციალურ ავტომობილებით გადაარა 400-ზე მეტმა პოლიციელმა, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ.

ᲠᲝᲛᲘ

მეფე კონსტანტინეს განცხადება

4 ივნისი. (საკადესი). როგორც ვიუწყებოდით, საბერძნეთის მთავრობამ გადაწყვიტა დაამხოს მეფე კონსტანტინე და გამოაცხადოს საბერძნეთი რესპუბლიკად. რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობა იკისრა ასლანდელმა პრემიერ-მინისტრმა პოპადოპულოსმა. ამასთან დაკავშირებით მეფე კონსტანტინემ, რომელიც გაძევებულია იტალიაში 1967 წლის დეკემბერში ხალხმწყობი გადატრიალების წარუმატებელი ცდის შემდეგ, გააკეთა ოფიციალური განცხადება. მისი სიტყვით საბერძნეთის რესპუბლიკად გამოცხადება „უკანონო მთავრობის უკანონო აქტია". მან მოითხოვა საბერძნეთში მოეწყოს თავისუფალი პლებისციტი ამ საკითხზე. მეფემ აგრეთვე განაცხადა, რომ სანამ ასეთი პლებისციტი არ გაიმართება, იგი თავს ჩათვლის სახელმწიფოს ერთადერთ კანონიერ მეთაურად, და დაიმუქრა, რომ დაიწყებს შეიარაღებულ ბრძოლას საბერძნეთის ახალანდელი რეჟიმის წინააღმდეგ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲒᲠᲘᲤᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

ᲚᲝᲒᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲘᲣᲠᲚᲔᲑᲐ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ გირის ტყეებში თანდათანობით იზრდება ინდური ლომების რიცხვი. თუ 1967 წელს აქ იყო 177 ლომი, ამჟამად მათი რიცხვი უკვე ორასს აღწევს. ეს შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ ინდოეთის მთავრობამ განახორციელა სპეციალური ღონისძიებანი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და მის უნიკალურ ცხოველთა სამყაროს დაცვისათვის. გირის ტყეებში შეიქმნა სპეციალური ნაკრძალი, სადაც მეცნიერები გულდასმით ამოწმებდნენ ლომების რაოდენობასა და უსაშიშროებას. ხანგრძლივი და გულმოდგინე მუშაობის შედეგია, რომ გირის ლომს ამჟამად გადაშენება აღარ ემუქრება.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲞᲝᲛᲒᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲘᲣᲠᲚᲔᲑᲐ

ᲛᲝᲠᲘᲐᲕᲐᲠᲔᲡ ᲤᲘᲐᲚᲐ

ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ფიალა, XIV საუკუნის ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც შეფასებული იყო 16 მილიონ იენად, მოიპარეს ტოკიოს ერთ-ერთი საგამოფენო დარბაზიდან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქურდმა უყურადღებოდ დატოვა სხვა საგნები, რომლებიც ფიალის გვერდით იდგა. მან სწორედ ეს ფიალა შეარჩია, რომელსაც ფასი არ ეწერა.

იაპონიაში დიდი ხნის წინათ არსებული ტრადიციის მახედვით, ძალიან ძვირად ღირებულ ხელოვნების ნაწარმოებებზე ფასს არ უთითებენ. ტოკიოს პოლიციის აზრით, ქურდმა იცოდა ეს პატარა ვაჭრული ეშმაკობა. მაგრამ არ იცოდა მთავარი რამ: ფიალას აქვს თავისი „პასპორტი", ეროვნულობაც მისი გაყიდვა არ შეიძლება და რომელიც ცხრაკლიტულში ინახება.

ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ

59 დაღუპული, ათასამდე დაშავებული — ასეთი შედეგი მოპყვა გრიგალებსა და ქარიხლებს, რომლებიც წელს დატყდა თავს შეერთებულ შტატებს. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ამინდის ბიურომ გამოაცხადა, გრიგალთა რიცხვმა მიაღწია რეკორდულ დონეს: მიმდინარე წლის პირველ ხუთ თვეში ქვეყნის ტერიტორიაზე აღირიცხა 700-ზე მეტი ეს სტიქიური უბედურება, რაც ყველაზე ხიდი ციფრია 1967 წლის შემდეგ, როცა აღინიშნა 928 გრიგალი 12 თვეში.

ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐᲖᲔ

17 კაცი დაიღუპა და 108 დაშავდა რკინიგზის კატასტროფის შედეგად ბოლივიაში (ინდოეთი). ელექტრომატარებელი შეეჯახა შემადგენლობას, რომელიც ხორის გადაყვანას ელოდა.

ᲛᲘᲗᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲠᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

30 წლის შემდეგ

ᲫᲛᲐ ᲫᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲗᲐᲜ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ზემოთ ბ. ალხანიშვილმა ქალაქ პერიგეში ძმის საფლავზე მიიტანა ჭედური ბარელიეფი; ქვემოთ — ძმა საქართველოდან ჩატანილ მიწას აყრის ძმის საფლავს. ცერემონიალში მონაწილეობას იღებს ქალაქ პერიგეს საზოგადოებრიობა.

მატარებელი მოსკოვიდან გავიდა და მიმართულება პარიზისაკენ აიღო. ვაგონის კუპეში ორნი არიან. ორივენი ფანჯარაში იცქირებიან, ხოლო დროდადრო ჩუმ მზერას მიპაყრობენ ერთმანეთს. ვერ ბედავენ გაცნობას. ასე გაგრძელდა მეორე დღემდე, ვიდრე ერთ-ერთმა „უცნობელმა" არ გატეხა ნაცხი:

— რა ქვეყიათ?

— ბეჟანი, ფრანგი არ გეგონოთ, ქართველი ვარ.

— მე კი ნამდვილად ფრანგად შეგიცანით.

— და მე კიდევ თქვენ მეგონეთ უცხოელი.

ამ შემთხვევის გამო დიდხანს იხარხარეს ახალგაცნობილებმა. შემდეგ, ერთმანეთის ამბავი უფრო დაწვრილებით რომ გამოიკითხეს, გაირკვა — ბეჟანის თანამგზავრი ცნობილი რუსი მწერალი ვიქტორ ტელეპუშოვი იყო, თვით ბეჟანი კი რუსთაველი ალხანიშვილი.

რამ შეაყარა ვიქტორ ტელეპუშოვისა და ბეჟან ალხანიშვილის გზები?

ბეჟანმა უთხრა, რომ მიდის საფრანგეთში თავის ძმასთან იოსეფთან.

— დიდი ხანია იქ ცხოვრობს? — იკითხა ვიქტორმა.

— იქ ის დასაფლავებულია. 1943 წლის 10 დეკემბერს დახვრიტეს გერმანელმა ფაშისტებმა სხვა ქართველ პარტიზანებთან ერთად. იოსები იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ. ჩავარდა ტყედ, თავის მეგობრებთან ერთად გახდა საფრანგეთის „წინააღმდეგობის რაზმის" მონაწილე. ერთერთ ბრძოლაში იოსები მძიმედ დაიჭრა. ის რეა ქართველთან ერთად ლეგენდარული წინააღმდეგობისათვის ქალაქ პერიგეს მახლობელ ტყეში დახვრიტეს გერმანელებმა.

—აი მათი საფლავი, — ეუბნება ბეჟანი ვიქტორს და აჩვენებს გაზეთიდან ამოჭრილ ფოტოსურათს.

— ეს კი რა არის? — კითხულობს მწერალი იქვე სათუთად შეფუთული ფაფის შესახებ, რომელიც საკმაოდ დიდ ადგილს იჭერს კუპეში.

— ეს მგონიის ძეგლია, გინდათ გაგაცნო, გაგვეგებთ. და ბეჟანმა საფარველი შეუფხაჭნა ლითონის მასიურ დაფას, რომელზეც ჭედური ხელოვნებით გამოკვეთილია მტრისალი დედა, ხელში ყვავილების თაიგული უჭირავს. დაფაზე ჭედური ხელოვნებით ამოკვეთილია აგრეთვე ცხრა ქართველი მეომრის გვარი, სახელი, მამის სახელი. წარწერები შესრულებულია ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. თავში კი დაფას ბაკეთებული აქვს წარწერა „გმირები არ კვდებიან".

ამ ჭედური ხელოვნების ავტორი, — უხსნის ბეჟანი თავის მოსაუბრეს მეგობარს, — არის ჩემი თანამოქალაქე ოთარ დავითულიანი, რომელიც ამავე დროს დიდი სამამულო ომის მონაწილეა.

— შესანიშნავი ჭედურობაა, — ეუბნება მწერალი და იქვე ინტერესით ამყურის თვალს საკმაოდ მოზრდილ ორ ყანწს, რომლებსაც ბეჟანი ჩემოდნიდან იღებს.

— ამით სადღეგრძელო უნდა დავლიო ჩემი ძმის საფლავზე, როგორც ცოცხლები, ისე უნდა გადღეგრძელო ის ქართველი მეომრები, საფრანგეთის მიწაზე რომ დაამთავრეს სიცოცხლე.

ამ საუბრით დაშორდნენ ისინი ერთმანეთს, შემდეგ კი რაც მოხდა, ამაზე ნათლად მეტყველეენ ფრანგული გაზეთები:

„პერიგე: 30 წლის შემდეგ ბ. ალხანიშვილმა შესვა ქართული ღვინო თავისი ძმის მოსახსენებლად, რომელიც ვერმანელებმა მოკლეს როგორც წინააღმდეგობის ორგანიზაციის წევრი". „ამაღელვებელი, ჯერთვანი პატივისცემა ლორდონში დაბოცილი საბჭოთა ადამიანებისადმი", „საქართველოდან პერიგეში 30 წლის შემდეგ..." — ასეთი სათაურებით საკმაოდ ვრცელი მასალები გამოაქვეყნეს ამ დღეებში ლორდონის დეპარტამენტის (საფრანგეთი) გაზეთებმა „პოპულერ დიუ სანტრმა", „�o დიუ სანტრმა" და „სიუტ უესტმა". ეს წერილები მიეძღვნა საფრანგეთში ბეჟან ალხანიშვილის ჩასვლას.

1964 წლამდე არავინ არ იცოდა, რა ბედი ეწია 1941 წელს ფრონტზე წასულ ახალგაზრდა იოსებ ალხანიშვილს. არ ჩანდა არც მისი წერილები და არც რაიმე ოფიციალური ცნობა. მხოლოდ 1964 წელს დაიბეჭდა გაზეთებში, რომ იოსებ ალხანიშვილი რვა ქართველ მებრძოლთან ერთად დახვრიტეს გერმანელებმა საფრანგეთის პარტიზანულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

შემდეგ, დაღუპული ჯარისკაცის ოჯახმა უფრო დამაჯერებელი ამბავი შეიტყო. გაზეთებმა გამოაქვეყნეს საკადესის ცნობა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ვ. ა. ზორინმა ფრანგ არქიტექტორთა დიდ ჯგუფს პერიგეში დადგმული საბჭოთა მეომრების ძეგლის შექმნისათვის გადასცა ფასიანი საჩუქრები. მეორე მსოფლიო ომის წლებში საფრანგეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული საბჭოთა ჯარისკაცების ძეგლი შეიქმნა საბჭოთა კავშირის მეგობრობის, წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეთა და საფრანგეთ-სსრ კავშირის საზოგადოების წევრების ინიციატივითა და სახსრებით.

... ძეგლი გრანიტის მონუმენტური ობელისკია, რომელიც დადგმულია ცხრა საბჭოთა ჯარისკაცის საფლავზე, მასზე ამოკვეთილია დაღუპულ მეომართა სახელები და პარტიზანული ფსევდონიმები. ზედმეტი არ იქნება, თუ მკითხველებს მოვაგონებთ ამ სახელებს: ივანე აბრამიძე, ივანე ჩხენკელი, ეფრემ ებრალიძე, იოსებ ალხანიშვილი, ნიკოლოს მარგებაძე, სულიკო აბულაძე, აბელ პეტრიაშვილი, გრიგოლ ჯიქია და არჩილ მირიანაშვილი. ისინი 1943 წლის 10 დეკემბერს დახვრ

სიკეთეროსი აფასებს, სიკეთეროსი ინვევს

„ნება მიბოძეთ პირადად ჩემი და მეკსიკის მხატვარ-მონუმენტალისტთა სახელით მივულოცოთ ზურაბ წერეთელს თბილისის პროფკავშირთა კულტურის სასახლისა და ქალაქ ადლერის საკურორტო კომპლექსის მხატვრული გაფორმება.

თავისი შემოქმედებით იგი მართლაც რომ გავიდა მომავლის ხელოვნების თვალუწვდენელ სარბიელზე, ხელოვნებისა, რომელშიც ქანდაკება ფერწერასთან არის შეხამებული. ზურაბ წერეთლის შემოქმედება დასაფასებელია იმითაც, რომ მან საერთაშორისო ყალიბადობა ჰპოვა“.

ეს სიტყვები ეკუთვნის თვალსაჩინო მეკსიკელ მონუმენტალისტ მხატვარს დავით ალფარო სიკეიროსს, რომელიც თბილისსა და ადლერში გაეცნო დამსახურებული მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ზ. წერეთლის ნამუშევრებს.

ეს შესანიშნავია, — თქვა დ. სიკეიროსმა, — როცა ნახა ადლერის ბავშვთა „კუთხე“. საკურაო აუზებსა და სანაოსნო არხებს თავისი პატარა ხომალდებით, ლაბირინთებით, რომლებშიც დასახლებულან პოპულარული ზღაპრების გმირები, ქანდაკების ფერწერის ორიგინალურ გადაწყვეტას — მოზაიკურ საოცარ თევზებს, ნიანგებს სიკეიროსმა უწოდა „ზურაბ-ლენდი“, რითაც პარალელი გაავლო მასა და სახელგანთქმულ დისნეი-ლენდს შორის. მაგრამ დისნეიმ თავისი ზღაპრული ქალაქი რეზინისაგან შექმნა, წერეთელმა კი მოზაიკური ფიგურებისაგან.

დ. სიკეიროსმა ზ. წერეთელი მიიწვია მეკსიკაში ერთობლივი ძუშაობისათვის. ახლა სიკეიროსი ქმნის 800 კვადრატული მეტრი ფართობის გრანდიოზულ კომპოზიციას, რომელიც ასახავს საბჭოთა, მეკსიკელი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხების მეგობრობას. ამ საძუშაოში ზ. წერეთელი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იქნება.

სიკეიროსმა ზ. წერეთელი თავის შემოქმედების მემკვიდრედ გამოაცხადა საბჭოთა კავშირი. — **გაგაცნობთ ლითონის მხატვრული დამუშავების, ფერის ინტენსივობის მიღწევის ბევრ ჩემს საიდუმლოს,** — თქვა მან.

საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა ზურაბ წერეთელს მოსკოვში გამგზავრების წინ.

— ბედნიერება მხვდა წილად, — თქვა მან, რომ ჩემ შრომას ასეთი მაღალი შეფასება მისცა დიდმა სიკეიროსმა. ახლა უნდა გავაფორმო საბჭოთა საელჩო ბრაზილიის დედაქალაქში. ვოცნებობ შევქმნა სოციალიზმის გამარჯვების, ხალხთა მეგობრობის მონუმენტური ძეგლი. დიდი სიხარულით მივიღე სიკეიროსის მიწვევა. ბრაზილიიდან, სადაც უახლოეს ხანში გავემგზავრები, გავფრინდები მექსიკაში და იქ ვიმუშავებ თანამედროვე საბჭოთა ხელოვნების დიდ ოსტატთან ერთად. (საქინფორმი).

სურათზე: დ. სიკეიროსი და ზ. წერეთელი (მარჯვნივ) ადლერში. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სასტიკი ბრძოლა — ქორვაჭრებს, სპეკულანტებს!

სინდისგარეცხილნი

იხილნ, რომლებიც გაურბიან საკოლმეურნეო, პატიოსან შრომას, რეპუბლიკის გარეთ მიილტვიან სასეკულაციოდ

„კომუნისტის“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა სპეკულაციის საწინააღმდეგოდ, როგორც ქალაქად, ისე სოფლად სათანადო წესრიგის დასამყარებლად.

რედაქციაში მრავალი წერილი მოდის, რომელთა ავტორები მადლიერებას გამოთქვამენ ჩორვაჭრებისა და მომგებელების. ასალგაზად ულმობელი, სისტემატური ბრძოლისათვის. ამას არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც, დიდ საწარმოო ქალაქებშიც, ეკრძოდ მოსკოვშიც ეკონობენ... არა ერთი წერილი მიღებული, სადაც ქმაყოფილებით არის აღნიშნული ის სასიხარულო ამბები, რომ მოსკოვის ბაზრები თავისუფლდებიან საქართველოდან ჩასული სპეკულანტთა თარეშისაგან, რაც ადრე სამარცხვინო ლაქად რჩებოდა, სახელს უტეხდა ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობას.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნები იმ სასიკეთო ამბებიდან, რაც საქართველოში ხდება, და კვლავ სპეკულანტურ, პაოზიტიურ ცხოვრებას ეწევიან, ამით, ცხადია, არცხვენენ თავიანთ თავს, ოჯახს, რესპუბლიკას.

ამიტომაც საკოლმეურნეო-სამეურნეო სამუშაოების ცხარე დროებია, მაგრამ ზოგიერთ პაოზიტიულ ელემენტს მუშაობას რესპუბლიკის გარეთ წაწყვეტა ურჩევნია.

გიორგი ხაინრიოლო პუნქტში ამ დღეებში მილიციის მუშაკების მიერ დაკავებულ იქნენ იოლი გამდიდრების მაძიებელნი. ისინი ცდილობდნენ როგორმე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანათ კერი, მარწყვი, ლომბოსტო, ბალი, მწვანილი, დაფნის ფოთოლი და ა.შ. ეს ბალი ძირითადად გაგზავნ ახლომახლო მდებარე სოფლების მცხოვრებლები